

სულხან ონიანი*

ქართული სამართლის ძეგლებში არსებული ერთი იურიდიული ფორმულის შესახებ

სტატია ეძღვნება ქართული სამართლის ძეგლებში არსებული ერთი იურიდიული ფორმულის ანალიზს. ეს ფორმულა ხშირად გვხვდება მეფისა თუ სხვა მაღალი იერარქების განკარგულებებში და, იმდროინდელ საზოგადოებაში არსებული წარმოდგენების თანახმად, ითვლებოდა საბუთის ადრესატისადმი მიმართულ მძლავრ სოციალურ ბერკეტად, რომელიც ხელს უწყობდა დოკუმენტის ავტორის ნების აღსრულებას.

საკვანძო სიტყვები: ძველი ქართული სამართალი, სხვისი ცოდვების საკუთარ თავზე აღება, მეფე, ფიცი.

1. შესავალი

სამართალი სოციალური ურთიერთობების მოწესრიგების ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტია, ამიტომ ნებისმიერ ეპოქაში სწორედ მასში აისახება იმ პერიოდის საზოგადოებაში გაბატონებული შეხედულებები. შეიძლება ითქვას, რომ, გარკვეული თვალსაზრისით, სამართალიც „მოთხოვნისა და მიწოდების“ კანონს¹ ემორჩილება.

მაგალითად, დღევანდელ სისხლის სამართლის კოდექსში რომელიმე დანაშაულისათვის სასჯელის სახედ „გაპარსვის“ განსაზღვრა სრულიად წარმოუდგენელია. იგი თანამედროვე იურისტებსა და, ზოგადად, ქართულ საზოგადოებაში, უკეთეს შემთხვევაში, ღიმილს გამოიწვევს, მაგრამ გიორგი V-ის „ძეგლისდების“ (1334-1335 წწ.) მე-2 მუხლში სანქციის ერთ-ერთ სახედ გვხვდება, რაც სულაც არ არის გასაკვირი – გიორგი ბრწყინვალე მაშინდელი რეალობის შესაბამისად მოქმედებდა. მას რომ თანამედროვე ეპოქაში ეცხოვრა, ბუნებრივია, მსგავსი კანონის მიღება არასდროს მოაფიქრებოდა.

მეორე მაგალითად შეიძლება უახლესი წარსული მოვიხმოთ: საბჭოთა პერიოდის (1960 წ.) ქართული სისხლის სამართლის კოდექსი „ქორწინების მიზნით“ ქალის მოტაცებას დამოუკიდებელ დანაშაულად განიხილავდა.² ეს ნორმა 1999 წლამდე უწყვეტად მოქმედებდა. დღევანდელი გადასახედიდან კი (ე.ი. სულ რაღაც 25 წლის შემდეგ), ასეთი დისკრიმინაციული შინაარსის ნორმის თანამედროვე კანონმდებლობაში არსებობა წარმოუდგენელ ვანდალიზმად შეიძლება იქნეს აღქმული.

მსგავსი მაგალითების დასახელება დაუსრულებლად შეიძლება, მაგრამ ისინი მხოლოდ ერთ უცვლელ პრინციპს დემონსტრირებენ – „დრონი იცვლებიან და მათთან ერთად ვიცვლე-

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი.

¹ *მენქიუ გ.*, ეკონომიკის პრინციპები, (ქართულ გამოცემაზე მუშაობდნენ: ახვლედიანი ა., კახნიაშვილი ა., მანჩხაშვილი ნ., ქადაგიძე ლ., ჭაბაშვილი ა.), მე-2 ქართული გამოცემა, გამომცემლობა „დიოგენე“, თბ., 2008, 77.

² *შენიშვნა:* 1960 წლის კოდექსის 134-ე მუხლი (ქალის მოტაცება მასთან ქორწინების მიზნით) აცხადებს: „ქალის მოტაცება მასთან ქორწინების მიზნით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 3 წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით 1 წლამდე.“ იხ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი, 30/12/1960, მუხ. 134.

ბით ჩვენც.³ ასე რომ, ის, რაც დღევანდელი გადასახედიდან უჩვეულოდ ჩანს, ოდესღაც სრულიად ფუნქციონალურ სოციალურ ბერკეტად მიიჩნეოდა და ოფიციალურ იურიდიულ საბუთებში იყო ასახული.

სწორედ ამ ტიპისაა ის ფორმულაც, რომელიც მოცემული სტატიის ყურადღების ცენტრში მოექცა. იგი სხვადასხვა ეპოქის მეფეთა, მაღალი რანგის საერო მოხელეთა და უმაღლეს საეკლესიო იერარქთა დოკუმენტებში გვხვდება და, მაშინდელი თვალთახედვით, სამართლის ნორმის ადრესატებზე ზემოქმედების მძლავრ მექანიზმად აღიქმებოდა.

საუბარია ე.წ. „სხვისი ცოდვების თავის თავზე აღების“ პრინციპზე,⁴ რომელიც ქართული სამართლის ძეგლებში წყევლის (მუქარის) შემცველი ფორმულის სახით გვხვდება, კერძოდ: დოკუმენტის ავტორი ყველას მოუწოდებს, არ დაარღვიონ საბუთში გაცხადებული მისი ნება და, თუ ადრესატი თხოვნას არ გაითვალისწინებს, მაშინ, დაე, მან აგოს პასუხი დოკუმენტის ავტორის ცოდვებისათვის მეორედ მოსვლისას, უფლის წინაშე გამართულ საყოველთაო სამსჯავროზე.⁵

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ რწმენა-წარმოდგენები ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანის ცოდვათა თავის თავზე აღების შესაძლებლობაზე, ქრისტიანობის ერთ-ერთი მთავარი დოგმატის – იესო ქრისტეს მიერ კაცობრიობის ცოდვათა თავის თავზე აღების და, ასევე, მეორედ მოსვლისა და საყოველთაო სამსჯავროს შესახებ ქრისტიანული სწავლების გამოცხადება, რასაც, პირველ რიგში, ადასტურებს საქართველოს გვირგვინოსანთა ტექსტები. სწორედ იმ გვირგვინოსანთა, რომლებიც თავიანთი სამეფო დინასტიის წარმომავლობას პირდაპირ ბიბლიურ დავითს უკავშირებდნენ და საკუთარ თავს იესიან-დავითიან-სოლომონიან ბაგრატიონებად მოიხსენებდნენ.

2. განსახილველი იურიდიული ფორმულა ქართველ მონარქთა სამართლებრივ აქტებში

გაკვირვებას არ იწვევს ის ფაქტი, რომ აღნიშნული იურიდიული ფორმულა (სხვადასხვა ვარიაციის სახით) უხვად მოიპოვება ქართველ მეფეთა იურიდიულ საბუთებში, მაგალითად:

1. ბაგრატ IV-ის ოპიზის სიგელი (1057 წ.) – „წმიდანი მოციქულნი არიან მოსაჯულნი სულისა მისისანი დღესა მას განკითხვისასა. და ჩემნი ბრალნი მისგან იძიენ ღმერთმან“;⁶ მისივე შეწირულობის წიგნი (1057 წ.) – „ცოდვათამცა და ბრალთა ჩემთა გარდამჟღელნი ხართ წინაშე ღმრთისა“;⁷

³ „Mutantur Tempora et Nos Mutamur in illis“ იხ. ციტირება: *ჭაბაშვილი მ.*, *უცხო სიტყვათა ლექსიკონი*, მე-3 გამოცემა, თბ., 1989, 585.

⁴ *შენიშვნა*: „სხვისი ცოდვების საკუთარ თავზე აღების“ პრინციპი, თავის მხრივ, ე.წ. „ნაცვალობის კონცეფციას“ ემყარება და დეტალურად განხილულია სხვა სტატიაში: *იხ. ონიანი ს.*, *ცოდვის მოკიდების მნიშვნელობისათვის*, თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, *ფურაძე გ. (რედ.)*, გამომც. „მერიდიანი“, ტ. 3, თბ., 2015, 346-381.

⁵ *შენიშვნა*: იურიდიული დოკუმენტის (ბრძანების, სიგელის და ა.შ.) იმ მონაკვეთს, რომელ ნაწილშიც გაჟღერებულია ხოლმე ეს ფრაზა, ივ. ჯავახიშვილმა „ბრალთგადამხდელობა“ უწოდა. ნიშანდობლივია, რომ ეს ტერმინი ივ. ჯავახიშვილმა შექმნა სწორედ ამ ფორმულის შინაარსზე დაყრდნობით. იხ. *ჯავახიშვილი ივ.*, *ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა*, წიგნი 3, ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, ნაკვეთი 2, ტფ. 1926, 109-112.

⁶ *დოლიძე ი.*, *ქართული სამართლის ძეგლები*, ტ. 2, თბ., 1965, 9 (შემდგომში – ქსდ).

⁷ იქვე, 6.

2. თამარ მეფის შეწირულობის სიგელი (1188 წ.) – „ჩემთა ცოდვათა და ბრალთა მზღვე-ველ არს იგი დღესა განკითხვისასა. და სიტყუა იგი მას ზედამცა აღესრულების: სისხლი მაგი-სი ჩუენზედა და შვილთა ჩუენთა ზედა;“⁸

3. ალექსანდრე I დიდის სიგელი (1440 წ.) – „ენიენ ღმერთო ულხინებელი რისხვა თქუ-ენი, და ჩუენთა ცოდვათა და ბრალთათუის იგი განკითხულ ქმენ მას მეორედ მოსლვასა წი-ნაშე თქუენსა;“⁹ მისივე თარხნობის სიგელი (1441 წ.) – „ვინცა დამაკლოს, თქუენ გაკითხულ ქმენ ჩუენთა ცოდვათა და ბრალთათუის, წინაშე ძისა თქუენისა და ღმრთისა ჩუენისა. ...ჩემთა ცოდვათა და ბრალთათუის მეპასუხე და გარდამჟღელ იგი ქმენ, დღესა მას ზარის საჯდელსა განკითხვისასა;“¹⁰ მისივე წყალობის წიგნი (1441 წ.) – „სუეტო ღმრთივ-აღმართე-ბულო, ჩუენთა ცოდვათა და ბრალთათუის იგი გაკითხულ ქმენ მას მეორედ მოსლვასა წინა-შე ღმრთისა;“¹¹

4. გიორგი VIII-ის სიგელი (1453 წ.) – „დღეთა საუფლოსა წირვასა თუ დაგუაკლებდეთ და არა გუინირევდეთ, ჩუენთუისმცა განკითხვით მას მეორედ მოსლვასა;“¹² მისივე შეწირუ-ლობის წიგნი (1464 წ.) – „ვინცა შეგიცვალოს და მოგიშალოს, რისხავსმცა მამა, ძე და სული წმიდა და თქუენ გელათის ღმრთისმშობელი და მას მეორედ მოსლვასა ჩუენთუისამცა გან-კითხვის წინაშე ძისა თქუენისა და ღმრთისა ჩუენისა;“¹³ მისივე სითარხნის წიგნი (1446-1476 წწ.) – „ვინც და რამანც გუარმან კაცმან შეცვალოს შე-მცა-იცვალების სჯულისაგან ქრისტიანეთასა და რისხავმც მამა, ძე და სული წმიდა და ჩემთამც ბრალთა მზღველი არს წინაშე ღმრთისა;“¹⁴

სავარაუდოდ, მისივე უნდა იყოს მინანერი (დამამტკიცებელი) კახა თორელის 1259 წ. შეწირულობის წიგნზე – „შენ, რკონისა ღმრთისმშობელო, მეორედ მოსლვასა თქუენ და თქუ-ენმა ძემან ჩემად მუქაფად იგი გაიკითხე და ჩემთა ცოდვათა გარდამჟღელად იგიმცა წარმოდ-გების ძისა შენისა წინაშე;“¹⁵

5. ლუარსაბ I-ის სითარხნის წიგნი (1540 წ.) – „ვინცა ეს ჩუენი განგებული და შეწირული წიგნი, სიგელი და ნიშანი მოშალოს და შეცვალოს, მას მეორედ მოსულასა ჩუენთამცა ცოდვა-თა მზღველი იგი არს;“¹⁶

6. გიორგი II იმერეთის მეფის წყალობის წიგნი (1563-1564 წწ.) – „ჩვენათამც ცოდვის ნუქმად, მას მეორეთ მოსვლას გაიკითხვის. ...ჩვენთამც ცოდვის ნუქმათ გაიკითხვის მას მეო-რეთ მოსვლას;“¹⁷

7. სვიმონ I-ის შეწირულობის წიგნი (1581 წ.) – „ვინცა და რამანცა კაცმან, გინა მეფეთა-განმან ვინმე და გინდა დედოფალთაგან, გინა მთავარმან, გინა დიდმან და გინა მცირემან კაცმან ჴელ-ყოს შლად და ცვალებად... ჩუენისამც ცოდვის მონაზლაურემც არის;“¹⁸

⁸ იქვე, 27.

⁹ იქვე, 127.

¹⁰ იქვე, 129.

¹¹ იქვე, დანართი, თბ., 2023, 28.

¹² იქვე, ტ. 2, თბ., 1965, 132.

¹³ იქვე, დანართი, თბ., 2023, 31.

¹⁴ იქვე, 36.

¹⁵ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ქართული ისტორიული საბუთები IX-XII სს, ტ. 1, *ენუქიძე თ, სილოგავა ვ., მოშიაშვილი ნ. (რედ.)*, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1984, 158

¹⁶ ქსდ, დანართი, თბ., 2023, 44.

¹⁷ იქვე, ტ. 2, თბ., 1965, 192, 193.

8. გიორგი X-ის შეწირულობის წიგნი (1591 წ.) – „ჩვენთა ცოდვათა მზლუეველიცა არის დღესა მას დიდსა განკითხვისასა;“¹⁹

9. ლუარსაბ II-ის შეწირულობის წიგნი (1606-1615 წწ.) – „ჩვენის ცოდვისათვინ იგიმც განიკითხვის;“²⁰

10. თეიმურაზ I-ის განჩინება (1606-1632 წწ.) – „ვინცა ესე საქმე მოშალოს ანუ მეფემან, ან დიდმა ან მცირემ, ანუ წინამძღვარმა, მასამც რისხავს სამება და ერთარსება. ჩვენის ცოდვისა პასუხი მან მისცეს.“²¹ მისივე შეწირულობის წიგნი (1612 წ.) – „ჩვენთამცა ცოდვათა მზლველი იგი არს დღესა მას დიდსა განკითხვისასა;“²²

11. გიორგი III იმერეთის მეფის შეწირულობის წიგნი (1610 წ.) – „ვინც შემოგეცილოს და ანუ მოგიშალოს, წყეული იყოს უკუნითი უკუნისამდის და ჩვენადაც ნუქვათ განიკითხვის მას მეორედ მოსლვას;“²³

12. როსტომ მეფის შეწირულობის წიგნი (1644 წ.) – „ჩვენთა ცოდვათათვის იგინი განიკითხვიან მას დღესა განკითხვისასა;“²⁴ მისივე შეწირულობის განახლების წიგნი (1645 წ.) – „ჩვენად ნაცვლადმცა იგი განიკითხვის მას მეორედ მოსვლასა. მარცხენითა მათ რჩეულთამცა იქნების ნაწილი და სამკუთხედელი მისი;“²⁵

13. ალექსანდრე III იმერეთის მეფის შეწირულობის წიგნი (1655 წ.) – „ვინცა თქუწნ ამას შემოგეცილოს, ჩვენიტაც მუქაფად გაეკითხვის და წყეული და შეჩვენებული იქმნების ყოველი პატრიარხისაგან და ეპისკოპოზისაგან;“²⁶ მისივე თარხნობის წიგნი (1660 წ.) – „მათ მეორედა მოსლას ჩვენისა ცოდვისა ქრისტეს მეუფისა წინაშე პასხის გამცემი იყას;“²⁷

14. გიორგი IV იმერეთის მეფის შეწირულობის წიგნი (1696-1698 წწ.) – „ან ვინცა და რამანცა ძემან კაცისამან: ან მეფემან, ან დედოფალმან, ან დიდებულმან, ანუ აზნაურმან ეს ჩვენგან შემოწირული გლეხი შენ გამოგახვას და შლად და ქცევად ხელყოს, შენ და ძე შენი გაურისხდი და ჩვენის ცოდვის ნუქაბადამცა ის განიკითხვის დღესა მას დიდსა განკითხვისასა;“²⁸

15. ვახტანგ VI-ის წყალობის წიგნი (1717 წ.) – „ვინცა ეს ჩვენგან შეწირულობა და გარსევანაშვილებისათვინ ნაწყალობევი ყმა და მამული გამოვცეხად და გამორთმევად ჯელ-ჰყოს,

¹⁸ იქვე, დანართი, თბ., 2023, 64.

¹⁹ ქართველიშვილი თ., ბაინდურაშვილი ხ., გელაშვილი ი., გოგოლაძე თ., შაორშაძე მ., ჯოჯუა თ., სურგულაძე მ. (რედ.), დოკუმენტური წყაროები XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ, ტ. 1, თბ., 2019, 50.

²⁰ იქვე, 71.

²¹ ქსდ, ტ. 4, თბ., 1972, 66.

²² ქართველიშვილი თ., ბაინდურაშვილი ხ., გელაშვილი ი., გოგოლაძე თ., შაორშაძე მ., ჯოჯუა თ., სურგულაძე მ. (რედ.), დოკუმენტური წყაროები XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ, ტ. 1, თბ., 2019, 113.

²³ ქსდ, დანართი, თბ., 2023, 80.

²⁴ ქართველიშვილი თ., ბაინდურაშვილი ხ., გელაშვილი ი., გოგოლაძე თ., შაორშაძე მ., ჯოჯუა თ., სურგულაძე მ. (რედ.), დოკუმენტური წყაროები XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ, ტ. 2, თბ., 2021, 268.

²⁵ იქვე, 279.

²⁶ ქსდ, დანართი, თბ., 2023, 96.

²⁷ კაკაბაძე ს., დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ტ. 2, ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემანი, ტფ., 1921, 173.

²⁸ ქსდ, დანართი, თბ., 2023, 180.

შერისხდი შენ საშინელო მრავალნაწილო ოქონის ხატო ჯვარცმისაო და ჩვენის ცოდვისათვის იგი განიკითხოს დღესა მას მეორეთ მოსვლისასა;²⁹

16. სოლომონ I-ის წიგნი (1778 წ.) – „მეორეთ მოსვლას ჩვენის ცოდვისამც მაგიერ ის განიკითხვის“;³⁰

17. დავით II იმერეთის მეფის სიგელი (1786 წ.) – „თუ ღმერთმან ჩვენზე მისი მონყუალე-ბა არ გარდაგვალო და სხვამ არ გვძლია, თქვენ ეს ფიცი და პირი არ გიმტყუნოთ. და უკეთუ შენ ჩვენის ბრძანების მორჩილი იქმნე და ჩვენ შენ გისუსტოთ, ქრისტე რომ მსაჯულათ დაბრძანდება, მეორედ მოსვლას თქვენის ცოდვის პასუხი ჩვენ მივსცეთ ღმერთს“;³¹

18. ერეკლე II-ის განწესებანი (1791 წ.) – „ამას გარდა საქართველოების დიდნი და მცირენი, თუ რომელისამე საქმით გაერივნენ და შეშალონ რიგი, მეორედ მოსვლას უფალსა ჩემის ცოდვის პასუხი იმან მისცეს და ნურა კეთილი დაემართოს ღმრთისაგან იმ გვამს, რომელიც მიზეზი შეიქნას. ...ჩემის ცოდვითამც განიკითხვის, თუ ეს მოშალოს ვინმე“;³²

19. სოლომონ II-ის წყალობის წიგნი (1801 წ.) – „ზემო ხსენებულთა სანატრელთა მეფეთა და ჩემთა ცოდვათა წილ იგიმცა იქმნების წინაშე საშინელსა სამსჯავროსა ქრისტესსა სიტყვის მგებელ“.³³

როგორც ვხედავთ, მეფეთა საბუთები საკვლევი იურიდიული ფორმულის მრავალფეროვან ვარიანტებს გვთავაზობს, ხოლო ის ფაქტი, რომ საქართველოს მონარქები აქტიურად იყენებენ ამ ფრაზას, უკვე თავისთავად ბევრს მოგვითხრობს მათ მსოფლმხედველობასა და სამართლებრივ წარმოდგენებზე, რომელსაც ბუნებრივია, იზიარებს იმდროინდელი სამღვდლოება და ფეოდალთა კლასი. სწორედ ამიტომ, საქართველოს მწყემსმთავართა თუ მაღალ საეკლესიო იერარქთა დოკუმენტებშიც ხშირად ჟღერს ფიცის და მუქარის ეს ტექსტი. ასევე, იგი გვხვდება მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეთა დოკუმენტებსა და სხვადასხვა პერიოდის სასამართლო გადაწყვეტილებებშიც.

3. განსახილველი იურიდიული ფორმულა საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავართა და მაღალი წოდების სასულიერო და საერო პირთა სამართლებრივ აქტებში

ვინაიდან საეკლესიო პირთა და საერო ფეოდალთა მიერ გამოცემულ დოკუმენტებში საკვლევი ფორმულა ისეთივე გამორჩეული სიუხვით გვხვდება, ამჯერად ტექსტობრივი მასალის ციტირების გარეშე ქვემოთ თვალსაჩინოებისთვის მოცემულია იმ პირთა ჩამონათვალი, რომელთა იურიდიულ საბუთებშიც ეს მუქარაა გაჟღერებული, კერძოდ:

1. კათალიკოსების – 1. აბრამის³⁴ (XV ს.); 2. დოროთეოზის³⁵ (XVI ს.); 3. იოანეს,³⁶ ზაქარიას,³⁷ ევდემონის,³⁸ ზაქარიას,³⁹ ნიკოლოზის⁴⁰ (XVII ს.); 4. იოანეს⁴¹, დომენტის,⁴² გერმანეს,⁴³ ბესარიონის⁴⁴ (XVIII ს.) – სამართლებრივი აქტები;

²⁹ იქვე, 200.

³⁰ კაკაბაძე ს., დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ტ. 2, ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემანი, ტფ., 1921, 67.

³¹ ქსდ, დანართი, თბ., 2023, 259.

³² იქვე, ტ. 2, თბ., 1965, 516, 520.

³³ ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, ნაწუკაშვილი ჯ. (რედ.), გამოცე. „საბჭოთა საქართველო“ ტ. 3, თბ., 1978, 183

³⁴ ქსდ, ტ. 3, თბ., 1970, 212.

2. ეპისკოპოსების – 1. ანტონ ჭყონდიდელის,⁴⁵ (XIII ს.); 2. მელქისედეკ გენათელის,⁴⁶ ზაქარია გენათელის,⁴⁷ გაბრიელ ცაგერელის,⁴⁸ მთავარეპისკოპოზ ნიკოლოზის,⁴⁹ ევდემონ მანგლელის⁵⁰ (XVII ს.); 3. იოსებ ურბნელის,⁵¹ ნიკიფორე ნილენელის,⁵² არსენ მანგლელის,⁵³ დომენტი ტფილელის,⁵⁴ ევდემონ ქუთათელის,⁵⁵ გრიგოლ ჭყონდიდელის⁵⁶ (XVIII ს.); დოსითეოს ქუთათელის⁵⁷ (XVIII ს. ბოლო და XIX ს. I მეოთხედი) – იურიდიული დოკუმენტები.

უმაღლეს საერო ხელისუფალთა შორის კი უნდა დავასახელოთ:

1. საქართველოს დედოფალთა – 1. დავით ნარინის მეუღლე თამარის⁵⁸ (XIII ს.); 2. გიორგი X-ის მეუღლე თამარისა⁵⁹ და გიორგი XI-ის მეუღლე ხვარაშანის⁶⁰ (XVII ს.) – განკარგულებები;

2. მაღალი წოდების მქონე ფეოდალთა – 1. გრიგოლ ბაკურიანის ძის⁶¹ (XI ს.); 2. ჭიაბერ მანდატურთუხუცესის⁶² (XII ს.); 3. მხარგრძელ სარგისის ძის,⁶³ გრიგოლ სურამელის,⁶⁴ კახა თორელის,⁶⁵ ძაგან აბულეთის ძის⁶⁶ (XIII ს.); შალვა ქვენიფნეველის,⁶⁷ მამისა მეფინიბეთუხუ-

³⁵ იქვე, 357.

³⁶ იქვე, 392.

³⁷ იქვე, 486.

³⁸ იქვე, 494.

³⁹ იქვე, 532.

⁴⁰ იქვე, 565, 602.

⁴¹ იქვე, 627.

⁴² იქვე, 706, 709, 749.

⁴³ იქვე, 789-790.

⁴⁴ იქვე, 842.

⁴⁵ იქვე, ტ. 2, თბ., 1965, 34.

⁴⁶ იქვე, ტ. 3, თბ., 1970, 261.

⁴⁷ იქვე, 513.

⁴⁸ იქვე, 520, 521, 522.

⁴⁹ ქართველიშვილი თ., ბაინდურაშვილი ხ., გელაშვილი ი., გოგოლაძე თ., შაორშაძე მ., ჯოჯუა თ., სურგულაძე მ. (რედ.), დოკუმენტური წყაროები XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ, ტ. 2, თბ., 2021, 488.

⁵⁰ ქსდ, ტ. 3, თბ., 1970, 585.

⁵¹ იქვე, 626.

⁵² იქვე, 629.

⁵³ იქვე, 694.

⁵⁴ იქვე, 712.

⁵⁵ იქვე, 711.

⁵⁶ იქვე, 816.

⁵⁷ იქვე, 996, 1029, 1034, 1106, 1120, 1124, 1127, 1133.

⁵⁸ იქვე, ტ. 2, თბ., 1965, 76.

⁵⁹ ქართველიშვილი თ., ბაინდურაშვილი ხ., გელაშვილი ი., გოგოლაძე თ., შაორშაძე მ., ჯოჯუა თ., სურგულაძე მ. (რედ.), დოკუმენტური წყაროები XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ, ტ. 1, თბ., 2019, 102.

⁶⁰ ქსდ, დანართი, თბ., 2023, 175.

⁶¹ იქვე, ტ. 3, თბ., 1970, 92, 94.

⁶² იქვე, ტ. 2, თბ., 1965, 29.

⁶³ იქვე, ტ. 3, თბ., 1970, 152.

⁶⁴ იქვე, ტ. 2, თბ., 1965, 39.

⁶⁵ იქვე, 60-61.

⁶⁶ იქვე, 71.

⁶⁷ იქვე, 141, 143.

ცესის⁶⁸ (XV ს.); 4. როსტომ გურიელის⁶⁹ (XVI ს.); 5. იესე ერისთავის,⁷⁰ ვამეყ დადიანის,⁷¹ გიორგი გურიელის⁷² (XVII ს.); 6. კაცია დადიანის,⁷³ მამია გურიელის,⁷⁴ გიორგი გურიელის⁷⁵ (XVIII ს.); 7. ვახტანგ გურიელის⁷⁶ (XIX ს.) – სამართლებრივი აქტები.

ცხადია, ქართული სამართლის ძეგლები, რომლებიც ამ იურიდიულ ფორმულებს იყენებს, დასახელებულ პირთა ნუსხით არ შემოიფარგლება, მაგრამ საკვლევ თემის მიზნებისთვის სრულიად საკმარისია უკვე მოყვანილი მაგალითები. ამჯერად კი, გაცილებით უფრო საინტერესოა, მოცემული იურიდიული ფორმულის სტრუქტურასა და სახესხვაობებზე აქცენტის გაკეთება.

4. განსახილველი იურიდიული ფორმულის სტრუქტურა, შინაარსი და ვარიაციები

საკვლევი იურიდიული ფორმულის მრავალფეროვნება საშუალებას იძლევა სხვადასხვა კუთხით იქნეს დანახული მისი შინაარსი, ამიტომ ამჯერად განსაკუთრებულ ინტერესს შეადგენს ამ ფორმულის სტრუქტურის ანალიზი და ერთგვარი სისტემატიზაცია, რისთვისაც საჭიროა რიგ კითხვებს გაეცეს პასუხი.

4.1. ვის მიემართება ფიცის ტექსტი

შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში, იურიდიული ფორმულა სანქციის სახით მიმართულია მესამე პირებისადმი, ე.ი. დოკუმენტის ავტორი ნებისმიერ პირს, რომელიც მის ნებას დაარღვევს, წყევლაში გაცხადებული შედეგით ემუქრება („ცოდვათამცა და ბრალთა ჩემთა გარდამჟღელნი ხართ წინაშე ღმრთისა“;⁷⁷ „ჩემი ცოდვის მაგიერათ განიკითხოს ღმერთმან დღესა მას დიდსა განკითხვისასა“⁷⁸ და ა.შ.).

ასევე, გვაქვს დოკუმენტები, რომელთა ავტორი სხვას კი არ ემუქრება და აფრთხილებს, არამედ, პირიქით, თავად დებს ფიცს – „თუ ამაში გიმტყუნოთ რამე და ან რაც ამ საფიცარში სწერია, ეს საფიცარი გაგიტეხოთ, ამა ზემო წერილთ მაღლმა, მამის თქუენისა და დედის თქუენისა ცოდვა და თქუენი ცოდვა მას მეორედ მოსულას მე მკითხოს“;⁷⁹ „მას საიქიოს მეორეთ მოსვლას ქრისტესთან მე ვიყო თქვენის ცოდვის პასუხის გამცემი“⁸⁰ „ქრისტე რომ მსაჯულათ დაბრძანდება, მეორედ მოსვლას თქვენის ცოდვის პასუხი ჩვენ მივსცეთ ღმერთს“;⁸¹

⁶⁸ იქვე, ტ. 8, თბ., 1985, 821.

⁶⁹ იქვე, ტ. 6, თბ., 1977, 656.

⁷⁰ იქვე, ტ. 3, თბ., 1970, 483.

⁷¹ იქვე, ტ. 6, თბ., 1977, 672.

⁷² იქვე, 676.

⁷³ იქვე, დანართი, თბ., 2023, 220.

⁷⁴ იქვე, ტ. 6, თბ., 1977, 719.

⁷⁵ იქვე, 723, 724.

⁷⁶ იქვე, 454.

⁷⁷ იქვე, ტ. 2, თბ., 1965, 6.

⁷⁸ იქვე, ტ. 6, თბ., 1977, 724.

⁷⁹ იქვე, ტ. 4, თბ., 1972, 141.

⁸⁰ იქვე, ტ. 3, თბ., 1970, 842.

⁸¹ იქვე, დანართი, თბ., 2023, 259.

ზოგჯერ კი ავტორი ერთსა და იმავე დოკუმენტში თავადაც დებს პირობას, რომ პასუხს აგებს და მეორე მხარესაც ემუქრება პასუხისგებით – „იმ ბიძის ჩემის ცოდვის მზიდველი ვიყო, თუ თქვენთვისაც და მდივანბეგისთვისაც ასე არ მოაწსენებინოს.... იმ ბიძის ჩემის მაგიერ ქრისტესთან სამართალში იმის ცოდვის მზიდველი მე ვიყო, თუ ეს იმის ნათქვამი არ იყოს. ...თუ ეს ასე არ იყოს, ქრისტესთან მოვალე მე ვიყო, თუ მოსამართლეებმა ჩემს ძმებს უსამართლო უყონ, ქრისტესთან პასუხი იმათ მომცენ. ...რომელმა მოსამართლემ უსამართლო მიყოს, ქრისტესთან რომ წარვდგეთ, იქ მომცენ პასუხი. ...თუ ვტყუოდე და ნაწილი რამ დამეწეროს, რასაც აღსარებაში ცოდვა მითქვამს, ნუმც მომეტევენა. ვინც არ დაიჯეროს, ქრისტე რომ იმ საშინელს სამართალში დაბრძანდეს, მე და იმან მივსცეთ ერთმანეთს სამართალი იმ განკითხვის დღეს.“⁸²

4.2. გაფრთხილების ადრესატთა წრის კონკრეტიკა

შემთხვევათა აბსოლუტურ უბრაველესობაში გაფრთხილების ადრესატად პირთა განუსაზღვრელი წრეა მითითებული და მუქარა ზოგადად არის მიმართული ნებისმიერი ადამიანისადმი (სიტყვებით „ვინც“, ⁸³ „ვინცა“, ⁸⁴ „თუ ვინმე“, ⁸⁵ „რამანც გუარმან კაცმან“, ⁸⁶ „ვინცა და რამანცა კაცმან“, ⁸⁷ „რამანც სულმან, ადამის ძემა“, ⁸⁸ და ა.შ.), მაგრამ ასევე გვაქვს შემთხვევები, როდესაც ფორმულა შეიცავს სოციალური ფენების იერარქიულ ჩამონათვალს, რომელიც შეიძლება იწყებოდეს ხელმწიფით, ნახსენები იყოს ვეზირები, დარბაზი, კათალიკოსი და მთავრდებოდეს ყველა დანარჩენი ქვეშევრდომით, მაგალითად: „ანუ რამანცა ძემან კაცისამან ეს ჩვენგან შეწირული და გაჩენილი აღაპი მოგიშალოს, ანუ მეფემან, ანუ ეპისკოპოსმან, ანუ დიდმან, ანუ მცირემან“, ⁸⁹ „ჩუენისა გუარისა მომავალთა მეფეთა და დედოფალთა და ანუ სხუისა გუარისა კაცმან ადამის მონათესავემან“, ⁹⁰ „გინა მეფეთაგანმან ვინმე და გინდა დედოფალთაგან, გინა მთავარმან, გინა დიდმან და გინა მცირემან კაცმან ჴელ-ყოს შლად“, ⁹¹ „ვინცა და რამანცა ძემან კაცისამან: ან მეფემან, ან დედოფალმან, ან დიდებულმან, ანუ აზნაურმან“, ⁹²

მეტიც, არის ასევე შემთხვევები, როდესაც ადრესატთა კიდევ უფრო მეტი კონკრეტიკაა მოცემული, მაგალითად: „თუ ვინ ამისი მომშლელი გამოვიდეს: ანუ შვილი, ანუ ძმა, ანუ მოყვასი... თუ აბხაზთა მეფეთა წინაშე მოიღონ ესე ჩემი დაწერილი და მათ არა მიასაბიონ... თუ ვეზირთა და დარბაზის კარსა მოურავთა ჰნახონ და მათ არა მიასაბიონ... ვინ ჩემის გუარისაი სხუაი იყოს, თუ მან არ მიასაბიოს... თუ კათალიკოსმან ჰნახოს და მან არა დაკრულოს, მას ჰკითხნეს ღმერთმან ჩემნი ბრალნი“, ⁹³ „და მლუიმისა მამათა წმიდათა და მოურავთა და

⁸² იქვე, ტ. 8, თბ., 1985, 928, 929, 930.

⁸³ იქვე, დანართი, თბ., 2023, 31.

⁸⁴ იქვე, ტ. 2, თბ., 1965, 129.

⁸⁵ იქვე, 141.

⁸⁶ იქვე, დანართი, თბ., 2023, 36.

⁸⁷ იქვე, ტ. 3, თბ., 1970, 565.

⁸⁸ იქვე, ტ. 8, თბ., 1985, 934.

⁸⁹ იქვე, ტ. 3, თბ., 1970, 520, 521.

⁹⁰ იქვე, დანართი, თბ., 2023, 28.

⁹¹ იქვე, 64.

⁹² იქვე, 180.

⁹³ იქვე, ტ. 2, თბ., 1965, 60-61.

ჩემთვის გაჩენილმან მწირველმან თუ ესე ჩემთვის გაჩენილი ალაპი და სალოცავი დააკლონ და შეცვალონ.“⁹⁴

ასეთივე კონკრეტიკას აქვს ადგილი, მაგალითად, ერეკლე II-ის ერთ დოკუმენტში, რომლის სათაურიდანვე ჩანს („განწესებანი საქართველოს მეფის ირაკლისნი ძეთა თჳსთადმი სამეფოჲსა საქართუელოჲსა“⁹⁵), რომ მთავარი ადრესატები მისივე ოჯახის წევრები არიან.

4.3. ვისი ცოდვები მიემართება ადრესატს

დოკუმენტების აბსოლუტურ უმეტესობაში ავტორი აქცენტს აკეთებს საკუთარ ცოდვებზე (ე.ი. ადრესატს ემუქრება, რომ იგი დოკუმენტის ავტორის ცოდვებისთვის აგებს პასუხს), მაგალითად: „ცოდვათამცა ჩემთა მზიდველი არს წინაშე ღმრთისა. ...და ბრალთა და ცოდვათა ჩემთა თანამდებ იყავნ წინაშე ქრისტესა;“⁹⁶ „მემცა უბრალო ვიქმნები ყოველთა ცოდვათა ჩემთადან.“⁹⁷

თუმცა, არის საბუთები, სადაც დოკუმენტის ავტორი კონკრეტულად სხვა პირებსაც ასახელებს და არა მხოლოდ საკუთარ, არამედ ჩამოთვლილ პირთა (საკუთარი დედ-მამის, შვილების, კონკრეტული პირების) ცოდვების სანაცვლოდ პასუხის გებით ემუქრება პოტენციურ სამართალდამრღვევს, მაგალითად: „და მე სულკურთხეულისა სარგისის შვილსა და შვილთა ჩემთა და მომავალთა ცოდვანი და ბრალნი მიეწადებიან სასჯელისა დღესა;“⁹⁸ „ჩემთამცა და ჩემისა გუარისა გარდაცვალებულთა და მომავალთა ცოდვათა პასუხსა იგი მისცემს;“⁹⁹ „ჩემისამც ცოდვისა და ჩემის მამისა და დედისა და ჩემის სახლის მომავალთა და ნათესავთა ცოდვისა სანუქფოთ იგიმცა განიკითხება;“¹⁰⁰ „ჩემი და დიანბეგის ცოდვის პასუხის გამცემი იყოს;“¹⁰¹ „ზემო ხსენებულთა სანატრელთა მეფეთა და ჩემთა ცოდვათა წილ იგიმცა იქმნების წინაშე საშინელსა სამსჯავროსა ქრისტესსა სიტყვის მგებელ.“¹⁰²

ლოგიკურია, თუკი სამართალდამრღვევი ღვთის წინაშე პასუხს აგებს სხვისი ცოდვებისთვის, იგი იმავე უმაღლეს სასამართლოზე საკუთარი ცოდვებისთვისაც აგებს პასუხს. მაგრამ საინტერესოა, რომ ზოგჯერ დოკუმენტის ავტორი საგანგებოდ უსვამს ხაზს ამ მომენტს – „თავისისა თვისისა და ჩვენისამც ცოდვით განიკითხების დღესა მას საშინელსა განკითხვისასა.“¹⁰³

გვაქვს ერთგვარი ინკლუზიური ვარიანტიც, რომელშიც დოკუმენტის ავტორი თავის თავთან ერთად, საბუთის ადრესატებს ჩართავს და ემუქრება ნებისმიერ მესამე პირს – „ჩემთა და თქვენთა ორთავე პასუხის მიმცემი იყოს დღესა მას მეორედ მოსლვისა მისისასა.“¹⁰⁴

⁹⁴ იქვე, 71; ასევე, იხ. ქსდ, ტ. 6, თბ., 1977, 656.

⁹⁵ იქვე, ტ. 2, თბ., 1965, 516, 520.

⁹⁶ იქვე, ტ. 3, თბ., 1970, 92, 94.

⁹⁷ იქვე, ტ. 2, თბ., 1965, 34.

⁹⁸ იქვე, ტ. 3, თბ., 1970, 152.

⁹⁹ იქვე, ტ. 2, თბ., 1965, 71.

¹⁰⁰ იქვე, ტ. 3, თბ., 1970, 609.

¹⁰¹ იქვე, ტ. 8, თბ., 1985, 934.

¹⁰² ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, ნაწყობილი ჯ. (რედ.), გამომც. „საბჭოთა საქართველო“ ტ. 3, თბ., 1978, 183.

¹⁰³ ქსდ, ტ. 3, თბ., 1970, 749.

¹⁰⁴ იქვე, 653.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ იმ კატეგორიის დოკუმენტებში, რომლებიც არა ავტორის მუქარას, არამედ პირიქით – პირობას შეიცავს, ასევე შეიძლება გვხვდებოდეს როგორც მხოლოდ ადრესატის ცოდვების თავის თავზე აღების ფიცი („მეორეთ მოსვლას წინაშე ღმრთისა პასუხის მომცემი ჩვენ ვიყუნეთ თქუენი“¹⁰⁵), ისე – რამდენიმე ადამიანის ცოდვების საკუთარ თავზე აღების პირობაც („თუ ამაში გიმტყუნოთ რამე და ან რაც ამ საფიცარში სწერია, ეს საფიცარი გაგიტეხოთ, ამა ზემო წერილთ მაღლმა, მამის თქუენისა და დედის თქუენისა ცოდვა და თქუენი ცოდვა მას მეორედ მოსულას მე მკითხოს“¹⁰⁶).

4.4. ვის წინაშე აგებს პასუხს სამართალდამრღვევი

ამ მხრივ რამდენიმე სამართლის აღსრულების გარანტი ფიგურირებს:

1. ღმერთი – „ჩემთამცა ცოდვათა და ბრალთა მზღველი არს წინაშე ღმრთისა“¹⁰⁷ ღმერთი მოიხსენიება დოკუმენტთა დიდ ნაწილში.¹⁰⁸ ასევე გვხვდება „მართლმსაჯული ღმერთი“ („მეორედ მოსვლას ჩვენის ცოდვის მუქაფად განიკითხვის მართლმსაჯულის ღმრთისაგან“¹⁰⁹);

2. ქრისტე – ქრისტე შეიძლება მოხსენებული იყოს დამოუკიდებლად, ე.ი. მხოლოდ „ქრისტე“ („ბრალთა და ცოდვათა ჩემთა თანამდებ იყავნ წინაშე ქრისტესა“¹¹⁰), ზოგჯერ კი, – კომბინაციაში: ქრისტე როგორც მეუფე¹¹¹ ან როგორც მსაჯული;¹¹²

3. ღვთისმშობელი – რომელიც თავის ძესთან ერთად მოიხსენიება („შენ, რკონისა ღმრთისმშობელო, მეორედ მოსლვასა თქუენ და თქუენმა ძემან ჩემად მუქაფად იგი გაიკითხე და ჩემთა ცოდვათა გარდამჟღელად იგიმცა წარმოდგების ძისა შენისა წინაშე“¹¹³);

4. ზოგჯერ დაკონკრეტების გარეშე მოიხსენიება მსაჯული („ისიმც განიკითხვის ჩვენის ცოდვის ნუქაფად მსაჯულის წინაშე დღესა მას სასჯელისასა“¹¹⁴);

საინტერესოა, რომ ხშირად არ არის დაკონკრეტებული ვის წინაშე და რა ვითარებაში აგებს პასუხს სამართალდამრღვევი და მხოლოდ ზოგადი ფრაზაა გაჟღერებული („ჩუენისამც ცოდვის მონაზღაურემც არის“¹¹⁵ „ჩვენთამც ცოდვათათვინ გაიკითხვის“¹¹⁶). ცხადია, ისედაც

¹⁰⁵ იქვე, 700.

¹⁰⁶ იქვე, ტ. 4, თბ., 1972, 141.

¹⁰⁷ იქვე, ტ. 8, თბ., 1985, 821.

¹⁰⁸ ქსდ, ტ. 2, თბ., 1965, 6, 9, 45, 46, 60-61, 71, 76, 141, 143, 516, 520; იქვე, ტ. 3, თბ., 1970, 92, 94; იქვე, ტ. 6, თბ., 1977, 656; იქვე, დანართი, თბ., 2023, 36.

¹⁰⁹ იქვე, ტ. 3, თბ., 1970, 816.

¹¹⁰ ქსდ, ტ. 3, 92, 94; ასევე. იხ. ქსდ, ტ. 3, თბ., 1970, 842; ტ. 6, თბ., 1977, 719; ტ. 8, თბ., 1985, 901, 928, 929, 930; ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ქართული ისტორიული საბუთები IX-XII სს, ტ. 1, *ენუქიძე თ, სილოგავა ვ., შოშიაშვილი ნ. (რედ.),* გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1984, 195.

¹¹¹ *კაკაბაძე ს.,* დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ტ. 2, ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემანი, ტფ., 1921, 173.

¹¹² ქსდ, დანართი, თბ., 2023, 259.

¹¹³ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ქართული ისტორიული საბუთები IX-XII სს, ტ. 1, *ენუქიძე თ, სილოგავა ვ., შოშიაშვილი ნ. (რედ.),* გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1984, 153; ასევე, იხ. იქვე, 158; ასევე, იხ. ქსდ, ტ. 2, თბ., 1965, 129; იქვე, დანართი, თბ., 2023, 31.

¹¹⁴ ქსდ, ტ. 3, თბ., 1970, 1120.

¹¹⁵ იქვე, დანართი, თბ., 2023, 64.

¹¹⁶ იქვე, ტ. 3, თბ., 1970, 483.

ყველასთვის ნათელი იყო, თუ ვინ, სად, როდის და ვის წინაშე აიღებდა დოკუმენტის ავტორის ნაცვლად ცოდვას. ამის მაგალითებიც ბევრია.¹¹⁷

4.5. გარემოებები, რომლებშიც პასუხს აგებს სამართალდამრღვევი

არის შემთხვევები, როდესაც დოკუმენტის ავტორი აკონკრეტებს, რომ სამართალდამრღვევი ამ წუთისოფელშიც განიკითხება და მეორედ მოსვლის დროსაც („ვინცა და რამანცა ძემან კაცისამან: ანუ დიდმან ანუ მცირემან ამის შლად და ქცევად ჴელყოს, ჩვენდამც მუქაფად გაეკითხვის აქა და მეორედ მოსლვას ორისავ ცხოვრებასა შინა“¹¹⁸), მაგრამ დოკუმენტითა აბსოლუტურ უმრავლესობაში, მუქარა სააქაო ცხოვრებას არ ეხება და სამაგიეროდ გვთავაზობს სხვადასხვა ვარიაციებს:

1. მეორედ მოსვლა – იგი შეიძლება იყოს ნახსენები ზოგადად („ჩემდა მუქაფად მეორედ მოსლას გეიკითხვის“¹¹⁹), ასევე, როგორც – ქრისტეს მეორედ მოსვლა („ჩემთამცა ცოდვათათვის იგი განიკითხვის დღესა მას საშინელს ქრისტეს მეორედ მოსლვასა“¹²⁰), და – ღმერთის მეორედ მოსვლა („ენიენ ღმერთო ულხინებელი რისხვა თქუენი, და ჩუენთა ცოდვათა და ბრალთათუის იგი განიკითხულ ქმენ მას მეორედ მოსლვასა წინაშე თქუენსა“¹²¹);

2. განკითხვის დღე („თქუენთამცა ცოდვათა და ბრალთა მზღვეველია დღესა მას განკითხვისასა“¹²²); გვხვდება ზარის სახდელი განკითხვის დღეც („ჩემთა ცოდვათა და ბრალთათუის მეპასუხე და გარდამჯდელ იგი ქმენ, დღესა მას ზარის საჯდელსა განკითხვისასა“¹²³);

3. სასჯელის დღე / დიდი სასჯელის დღე („ჩვენთა ცოდვათათვის იგი განიკითხების დღესა მას სასჯელისასა“¹²⁴ „ჩვენდა ცოდვის ნაცულად იგი განიკითხოს დღესა მას დიდსა სასჯელისასა“¹²⁵);

¹¹⁷ ქსდ, ტ. 2, თბ., 1965, 29, 34; ტ. 3, თბ., 1970, 212, 247, 423, 493, 494, 495, 513, 532, 585, 627, 1106; ტ. 6, თბ., 1977, 454; ტ. 8, თბ., 1985, 913; *ქართველიშვილი თ., ბაინდურაშვილი ხ., გელაშვილი ი., გოგოლაძე თ., შაორშაძე მ., ჯოჯუა თ., სურგულაძე მ. (რედ.), დოკუმენტური წყაროები XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ*, ტ. 1, თბ., 2019, 71.

¹¹⁸ ქსდ, ტ. 3, თბ., 1970, 522.

¹¹⁹ ქსდ, ტ. 3, თბ., 1970, 368; ასევე, იხ. ქსდ, ტ. 2, თბ., 1965, 132, 192, 193; ტ. 3, თბ., 1970, 261, 369, 372, 496; ტ. 4, თბ., 1972, 141, 265; ტ. 8, თბ., 1985, 901; დანართი, თბ., 2023, 28, 44, 80, 97, 175, 200, 259; ასევე, იხ. *ქართველიშვილი თ., ბაინდურაშვილი ხ., გელაშვილი ი., გოგოლაძე თ., შაორშაძე მ., ჯოჯუა თ., სურგულაძე მ. (რედ.), დოკუმენტური წყაროები XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ*, ტ. 2, თბ., 2021, 279, 488; ასევე, იხ. *კაკაბაძე ს., დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები*, ტ. 2, ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემანი, ტფ., 1921, 67, 173.

¹²⁰ ქსდ, ტ. 3, თბ., 1970, 357; ასევე, იხ. ქსდ, ტ. 3, თბ., 1970, 789-790; ტ. 8, თბ., 1985, 901; დანართი, თბ., 2023, 259; იხ. *კაკაბაძე ს., დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები*, ტ. 2, ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემანი, ტფ., 1921, 173.

¹²¹ ქსდ, ტ. 2, თბ., 1965, 127.

¹²² ქსდ, ტ. 2, თბ., 1965, 45, 46; ასევე, იხ. ქსდ, ტ. 2, თბ., 1965, 27; ტ. 3, თბ., 1970, 392, 486, 504, 567, 568, 609, 626, 629, 709, 711, 749; ტ. 4, თბ., 1972, 216; ტ. 6, თბ., 1977, 600, 672, 676, 724; დანართი, თბ., 2023, 180; ასევე, იხ. *ქართველიშვილი თ., ბაინდურაშვილი ხ., გელაშვილი ი., გოგოლაძე თ., შაორშაძე მ., ჯოჯუა თ., სურგულაძე მ. (რედ.), დოკუმენტური წყაროები XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ*, ტ. 1, თბ., 2019, 50, 102, 113; იქვე, ტ. 2, თბ., 2021, 268.

¹²³ ქსდ, ტ. 2, თბ., 1965, 129.

¹²⁴ იქვე, ტ. 3, თბ., 1970, 565.

¹²⁵ ქსდ, ტ. 3, თბ., 1970, 1034; ასევე, იხ. ქსდ, ტ. 3, თბ., 1970, 152, 712, 996, 1029, 1120, 1124, 1127, 1133; ტ. 6, თბ., 1977, 723.

4. საუკუნო („ჩვენთა ცოდვათათუის განიკითხვის მას საუკუნოსა“¹²⁶), ასევე, საუკუნო დღე („მას დღესა საუკუნოს ჩვენთა ცოდვათამც განიკითხვის“¹²⁷) და – მერმესა მას საუკუნესა („ჩვენის ცოდვის ნაცვლად განიკითხვის მერმესა მას საუკუნესა“);¹²⁸

5. ქრისტეს სამსჯავრო („წინაშე საშინელსა სამსჯავროსა ქრისტესსა“¹²⁹) და საშინელი სამართალი („ქრისტე რომ იმ საშინელს სამართალში დაბრძანდეს“¹³⁰);

6. გვაქვს ასევე კომბინირებული ვარიანტებიც, რომელთაგანშიც ერთდროულად მეორედ მოსვლაცაა ნახსენები და სასჯელის დღეც („მეორედ მოსვლას ჩვენის ცოდვის მაგიერამთაც განიკითხვის დღესა მას სასჯელისასა“¹³¹); ან – მეორედ მოსვლა და სამართალი („ჩვენისამც ცოდვით განიკითხვის მეორეთ მოსლას სამართალშია“¹³²).

4.6. ნაცვალობის გამომხატველი ტერმინები

სინონიმთა სიუხვით გამოირჩევა საკვლევი იურიდიული ფორმულის ის ნაწილი, რომელიც ნაცვალობას გამოხატავს. ძირითადად გამოიყენება შემდეგი კონსტრუქციები:

1. ნაცვლად განკითხვა – იგი შეიძლება იყოს სუბიექტის ნაცვლად (ნაცულად / ნაცვლადმცა) განკითხვა („ჩვენდა ნაცვლად განიკითხოს“¹³³ „განიკითხოს ნაცულად ჩემსა“¹³⁴ „ჩვენად ნაცვლადმცა იგი განიკითხვის“¹³⁵), ან – სუბიექტის ცოდვის ნაცვლად / ნაცულად განკითხვა („ჩვენის ცოდვის ნაცვლად განიკითხვის“¹³⁶ „ჩვენდა ცოდვის ნაცულად იგი განიკითხოს“¹³⁷); გვაქვს ასევე – ნაცვლად განსჯა („ცოდვისა ჩვენისა ნაცვლადმცა განისჯების“¹³⁸);

2. მზღველი / მზღვეველი ცოდვათა (ბრალთა / ცოდვათა და ბრალთა) – „ჩვენთამცა ცოდვათა მზღველი იგი არს“¹³⁹ „ჩემთამც ბრალთა მზღველი არს“¹⁴⁰ „ჩემთა ცოდვათა და ბრალთა მზღვეველ არს იგი“¹⁴¹ „ჩვენთა ცოდვათა მზღვეველიცა არის“¹⁴²

¹²⁶ ქსდ, ტ. 6, თბ., 1977, 601.

¹²⁷ იქვე, ტ. 3, თბ., 1970, 370, 373.

¹²⁸ იქვე, 263, 526.

¹²⁹ ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, ნაწილაკი *წიგნი (რედ.)*, გამომც. „საბჭოთა საქართველო“ ტ. 3, თბ., 1978, 183

¹³⁰ ქსდ, ტ. 8, თბ., 1985, 928, 929, 930.

¹³¹ იქვე, დანართი, თბ., 2023, 220.

¹³² იქვე, ტ. 4, თბ., 1972, 265.

¹³³ იქვე, ტ. 3, თბ., 1970, 1106; ასევე, იხ. იქვე, 1127.

¹³⁴ იქვე, 996.

¹³⁵ *ქართველიშვილი თ., ბაინდურაშვილი ხ., გელაშვილი ი., გოგოლაძე თ., შაორშაძე მ., ჯოჯუა თ., სურგულაძე მ. (რედ.)*, დოკუმენტური წყაროები XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ, ტ. 2, თბ., 2021, 279.

¹³⁶ ქსდ, ტ. 3, თბ., 1970, 263; ასევე, იხ. იქვე, დანართი, თბ., 2023, 175.

¹³⁷ იქვე, ტ. 3, თბ., 1970, 1029.

¹³⁸ იქვე, ტ. 6, თბ., 1977, 723.

¹³⁹ ქსდ, დანართი, თბ., 2023, 44; ასევე, იხ. *ქართველიშვილი თ., ბაინდურაშვილი ხ., გელაშვილი ი., გოგოლაძე თ., შაორშაძე მ., ჯოჯუა თ., სურგულაძე მ. (რედ.)*, დოკუმენტური წყაროები XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ, ტ. 1, თბ., 2019, 113.

¹⁴⁰ ქსდ, დანართი, თბ., 2023, 36; ასევე, იხ. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ქართული ისტორიული საბუთები IX-XII სს, ტ. 1, *ენუქიძე თ, სილოგავა ვ., შოშიაშვილი ნ. (რედ.)*, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1984, 195.

¹⁴¹ ქსდ, ტ. 2, თბ., 1965, 27.

3. მუქაფად განკითხვა – რომლის ვარიაციებია: მუქაფად / მუქფად („მუქაფად იგი გაიკითხე“,¹⁴³ „მუქფად განკითხვის“¹⁴⁴); მუქაბად („მუქაბად განკითხვის“¹⁴⁵); ნუქაფად / ნუქფათ / ნუქაბად / ნუქაბადმცა („ნუქაფად ის განკითხვის“,¹⁴⁶ „ნუქფათ განკითხვის“,¹⁴⁷ „ნუქაბად ის განკითხვის“,¹⁴⁸ „ნუქაბადამცა ის განკითხვის“¹⁴⁹); ნუქმად / ნუქმათ („ცოდვის ნუქმად“,¹⁵⁰ „ნუქმათ გაიკითხვის“,¹⁵¹); გვხვდება, ასევე, სანუქფოთ („სანუქფოთ იგიმცა განკითხება“,¹⁵² „სანუქფო პასუხი“,¹⁵³);

4. ცოდვის მაგიერ („ჩვენის ცოდვისამც მაგიერ ის გაიკითხვის“¹⁵⁴); ცოდვის მაგიერად / მაგიერათ („ჩემი ცოდვის მაგიერად“,¹⁵⁵ „ჩემი ცოდვის მაგიერათ.“¹⁵⁶); ცოდვის მაგიერამთაც (ჩვენის ცოდვის მაგიერამთაც¹⁵⁷); ცოდვის მაგიერი პასუხი / მაგიერის პასუხი („ჩვენის ცოდვის მაგიერი პასუხი მან გასცეს“,¹⁵⁸ „შენის ცოდვის მაგიერის პასუხის მისაცემი“¹⁵⁹); გვაქვს ასევე ვარიანტი, რომელშიც ცოდვა არაა ნახსენები – „ჩვენს მაგიერად ის განკითხოს“¹⁶⁰;

საინტერესოა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ერთი ასეთი სტროფია: „მე ვერა გიყო, ნაცვალსა ღმერთი გარდხნის ციერი, ზეგარდმო მისი შემოგზღოს მუქაფა ჩემ-მაგიერი!“¹⁶¹

5. პასუხის გაცემა / მიცემა („მე ვიყო თქვენის ცოდვის პასუხის გამცემი“,¹⁶² „ჩემის ცოდვის პასუხი იმან მისცეს“¹⁶³); არის ასეთიც – პასხის გამცემი იყას („ქრისტეს მეუფისა წინაშე პასხის გამცემი იყას“¹⁶⁴); კიდევ ერთი ვარიანტია – მეპასუხე („და ჩემთა ცოდვათა და ბრალთათუის მეპასუხე და გარდამჟღელ იგი ქმენ“¹⁶⁵);

¹⁴² ქართველიშვილი თ., ბაინდურაშვილი ხ., გელაშვილი ი., გოგოლაძე თ., შაორშაძე მ., ჯოჯუა თ., სურგულაძე მ. (რედ.), დოკუმენტური წყაროები XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ, ტ. 1, თბ., 2019, 50.

¹⁴³ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ქართული ისტორიული საბუთები IX-XII სს, ტ. 1, *ენუქიძე თ, სილოგავა ვ., შოშიაშვილი ნ. (რედ.)*, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1984, 153, 158; ასევე, იხ. ქსდ, ტ. 3, თბ., 1970, 247, 368, 372, 493, 520, 522, 526, 816; იქვე, დანართი, თბ., 2023, 96, 97.

¹⁴⁴ ქსდ, ტ. 3, თბ., 1970, 532.

¹⁴⁵ იქვე, ტ. 6, თბ., 1977, 454.

¹⁴⁶ იქვე, 672.

¹⁴⁷ იქვე, ტ. 3, თბ., 1970, 369; იქვე, დანართი, თბ., 2023, 80.

¹⁴⁸ იქვე, ტ. 6, თბ., 1977, 676.

¹⁴⁹ იქვე, დანართი, თბ., 2023, 180.

¹⁵⁰ იქვე, ტ. 2, თბ., 1965, 192.

¹⁵¹ იქვე, 193; ასევე, იხ. იქვე, ტ. 3, თბ., 1970, 261.

¹⁵² იქვე, ტ. 3, თბ., 1970, 609.

¹⁵³ იქვე, 692.

¹⁵⁴ *კაკაბაძე ს.,* დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ტ. 2, ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემანი, ტფ., 1921, 67; ასევე, იხ. ქსდ, ტ. 8, თბ., 1985, 928, 929, 930.

¹⁵⁵ ქსდ, ტ. 6, თბ., 1977, 719; ასევე, იხ. იქვე, ტ. 3, თბ., 1970, 706, 709.

¹⁵⁶ იქვე, ტ. 6, თბ., 1977, 724; ასევე, იხ. იქვე, ტ. 3, თბ., 1970, 711.

¹⁵⁷ იქვე, დანართი, თბ., 2023, 220.

¹⁵⁸ იქვე, ტ. 3, თბ., 1970, 513.

¹⁵⁹ იქვე, 789-790.

¹⁶⁰ იქვე, 1133.

¹⁶¹ *რუსთაველი შოთა*, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1986, 425.

¹⁶² ქსდ, ტ. 3, თბ., 1970, 842 ასევე, იხ. იქვე, ტ. 6, თბ., 1977, 656; ტ. 8, თბ., 1985, 934.

¹⁶³ ქსდ, ტ. 2, თბ., 1965, 516; ასევე, იხ. იქვე, 71; ასევე, იხ. იქვე, ტ. 4, თბ., 1972, 66; ტ. 8, თბ., 1985, 901; დანართი, თბ., 2023, 259.

¹⁶⁴ *კაკაბაძე ს.,* დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ტ. 2, ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემანი, ტფ., 1921, 173.

¹⁶⁵ ქსდ, ტ. 2, თბ., 1965, 129.

6. გვხვდება, ასევე – წილ („ჩვენთა ცოდვათა წილ იგიმცა განიკითხვის დღესა სასჯელი-სა“¹⁶⁶);

7. სიტყვის მგებელი / სიტყვის მიცემა („ჩემთა ცოდვათა წილ იგიმცა იქმნების წინაშე საშინელსა სამსჯავროსა ქრისტესსა სიტყვის მგებელ“,¹⁶⁷ „ყოველთა ბრალთა და ცოდვათა ჩემთათჳს იგი მისცემს სიტყუასა ღმერთსა, დღესა მას დიდსა განკითხვისასა“¹⁶⁸);

8. გვაქვს ისეთი ორიგინალური ვარიანტებიც, როგორიცაა: მოვალე ვიყო („ქრისტესთან მოვალე მე ვიყო“¹⁶⁹); გად-მცა-იდვას პატიჟი („გად-მცა-იდვას პატიჟი აურაცხელთა ჩემთა ცოდვათა, დღესა მას განკითხვისასა“¹⁷⁰); პატიჟსა მიმხდელი („ყოველთამცა ბრალთა და ცოდვათა ჩემთა პატიჟსა მიმწდელი არის“¹⁷¹); უბრალო ვიქნები („მემცა უბრალო ვიქმნები ყო-ველთა ცოდვათა ჩემთადან“¹⁷²); მტვირთველი („ჩემისამც ბრალისა და ცოდვის მტვირთველი ის იქნება“¹⁷³); მზიდველი („ცოდვათამცა ჩემთა მზიდველი არს წინაშე ღმრთისა,“¹⁷⁴); თანამ-დები („ბრალთა და ცოდვათა ჩემთა თანამდებ იყავნ წინაშე ქრისტესა“¹⁷⁵); მონაზღაურე („ჩუ-ენისამც ცოდვის მონაზღაურემც არის“¹⁷⁶); გარდამწდელი („ცოდვათამცა და ბრალთა ჩემთა გარდამწდელნი ხართ წინაშე ღმრთისა“¹⁷⁷); გარდამწდელად წარმოდგების („ჩემთა ცოდვათა გარდამწდელად იგიმცა წარმოდგების ძისა შენისა წინაშე“¹⁷⁸); იძიენ („ჩემნი ბრალნი მისგან იძიენ ღმერთმან“¹⁷⁹);

9. გვხვდება ისეთი მარტივი კონსტრუქციებიც, როგორიცაა სუბიექტის ცოდვისთვის / ცოდვათათვის / ცოდვათა და ბრალთათვის / განკითხვა („ჩვენის ცოდვისათვის იგიმც განი-კითხვის,“¹⁸⁰ „ჩვენთამცა ცოდვათათუის იგი განიკითხუის,“¹⁸¹ „ჩუენთა ცოდვათა და ბრალთა-თუის იგი გაკითხულ ქმენ“¹⁸²); სუბიექტის ცოდვით განკითხვა („მეორედ მოსულას ჩუენისამც

¹⁶⁶ იქვე, ტ. 3, თბ., 1970, 712; ასევე, იხ. ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ენოგრაფიული მუზეუმის მასალები, *ნანუკაშვილი ჯ. (რედ.)*, გამომც. „საბჭოთა საქართველო“ ტ. 3, თბ., 1978, 183.

¹⁶⁷ ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ენოგრაფიული მუზეუმის მასალები, *ნანუკაშვილი ჯ. (რედ.)*, გამომც. „საბჭოთა საქართველო“ ტ. 3, თბ., 1978, 183.

¹⁶⁸ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ქართული ისტორიული საბუთები IX-XII სს, ტ. 1, *ენუქიძე თ, სილოგავა ვ., შოშიაშვილი ნ. (რედ.)*, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1984, 162.

¹⁶⁹ ქსდ, ტ. 8, თბ., 1985, 928, 929, 930.

¹⁷⁰ იქვე, ტ. 2, თბ., 1965, 71.

¹⁷¹ იქვე, 29.

¹⁷² იქვე, 34.

¹⁷³ იქვე, ტ. 8, თბ., 1985, 913.

¹⁷⁴ იქვე, ტ. 3, თბ., 1970, 92; ასევე, იხ. იქვე, ტ. 8, თბ., 1985, 928.

¹⁷⁵ იქვე, ტ. 3, თბ., 1970, 94.

¹⁷⁶ იქვე, დანართი, თბ., 2023, 64.

¹⁷⁷ იქვე, ტ. 2, თბ., 1965, 6; ასევე, იხ. იქვე, 129.

¹⁷⁸ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ქართული ისტორიული საბუთები IX-XII სს, ტ. 1, *ენუქიძე თ, სილოგავა ვ., შოშიაშვილი ნ. (რედ.)*, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1984, 153.

¹⁷⁹ ქსდ, ტ. 2, თბ., 1965, 9.

¹⁸⁰ *ქართველიშვილი თ., ბაინდურაშვილი ხ., გელაშვილი ი., გოგოლაძე თ., შაორშაძე მ., ჯოჯუა თ., სურგულაძე მ. (რედ.)*, დოკუმენტური წყაროები XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ, ტ. 1, თბ., 2019, 71; ასევე, იხ. ქსდ, დანართი, თბ., 2023, 200.

¹⁸¹ *ქართველიშვილი თ., ბაინდურაშვილი ხ., გელაშვილი ი., გოგოლაძე თ., შაორშაძე მ., ჯოჯუა თ., სურგულაძე მ. (რედ.)*, დოკუმენტური წყაროები XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ, ტ. 1, თბ., 2019, 102; ასევე, იხ. იქვე, ტ. 2, თბ., 2021, 268; ასევე, იხ. ქსდ, ტ. 2, თბ., 1965, 141, 143; ტ. 3, თბ., 1970, 494, 495, 565, 602, 626, 627, 629, 694; ტ. 6, თბ., 1977, 601; ტ. 8, თბ., 1985, 833.

¹⁸² ქსდ, დანართი, თბ., 2023, 28; ასევე, იხ. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ქართული ისტორიული საბუთები IX-XII სს, ტ. 1, *ენუქიძე თ, სილოგავა ვ., შოშიაშვილი ნ. (რედ.)*, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1984, 162.

ცოდვით განიკითხოს¹⁸³); ცოდვათათვის დასჯა („ჩვენთა ცოდვათათვის იგიმცა დაისჯე-ბის“¹⁸⁴); კიდევ უფრო მარტივი ვარიანტებია – „ჩემიმც ცოდვა გაქუს“¹⁸⁵ და „ჩუენთუისმცა იგი განიკითხვის დღესა მას განიკითხვისასა;“¹⁸⁶

10. გვხვდება, ასევე, ფრაზა – ღმერთმა ჰკითხოს ბრალნი / ბრალნი და ცოდვანი („მას ჰკითხნეს ღმერთმან ჩემნი ბრალნი,“¹⁸⁷ „ღმერთმან მას ჰკითხნეს ბრალნი და ცოდვანი თქუენ-ნი“¹⁸⁸);

და ბოლოს, საინტერესოა, რომ ნაცვალობის გამომხატველი ტერმინების გარდა გვაქვს ასევე ნაცვალობის გამომხატველი საბუთის აღწერილობითი დასახელებაც, კერძოდ, ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ადრესატს მისცა მეორედ მოსვლის დროს ქრისტეს წინაშე წარსადგენი, ცოდვებისაგან განმათავისუფლებელი და მის ნაცვლად პასუხის გამცემი წერილობითი პირობა: „ესე ამოუარებელი, მტკიცე, შეუცვალებელი, უტყუარი, უხერხო, უმიზეზო პირობა და ცოდვისა და მადლის წიგნი, მეორედ მოსვლის იესოს ქრისტეს წინა მისაღები და შენის ცოდვის მაგიერის პასუხის მისაცემი და შენი განსათავისუფლებელი წიგნი და პირობა გიბოძეთ ჩვენ, ღმრთივ-ამაღლებულმა, ღმრთივ-დამყარებულმა კათალიკოზმან გერმანემ ...თუ ამაში გაგიმტყუნდენ, შენმაგიერი პასუხის გამცემი ღმერთთან მეორედ მოსვლას ჩვენ ვიყოთ, შენ უბრალო იყო.“¹⁸⁹

როგორც გამოჩნდა, საკვლევი იურიდიული ფორმულა რეალური ინსტრუმენტიცაა, რომლითაც ხშირად სარგებლობდნენ ძველი საქართველოს სახელმწიფო მოღვაწეები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ის ერთადერთი არ არის და სამართლის ძეგლებში ამ იურიდიული ფორმულის გარდა გვხვდება კიდევ მსგავსი შინაარსის რიტუალური ფიციც.

5. „ცოდვის მოკიდების“ რიტუალური ფიცი

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში¹⁹⁰ სასამართლო მტკიცებულების (თავის მართლების საშუალების) ერთ-ერთი სახეა „ცოდვის მოკიდება“. თავისი შინაარსით იგი რიტუალური ფიცია, რომლის დროსაც ეჭვმიტანილი ზურგზე იკიდებს ბრალმდებელს და ამბობს, რომ თუ დამნაშავეა, დაე, ბრალმდებლის ცოდვებისთვის მეორედ მოსვლისას ბრალმდებლის ნაცვლად თავად აგოს პასუხი.¹⁹¹

ქართული სამართლის ძეგლები იცნობენ ამ რიტუალის სხვა ვარიანტებსაც, როგორიცაა: საფლავზე შედგომით ცოდვის მოკიდება (ე.ი. საფლავზე დაფიცება იმავე სიტყვებით) და ცოდვის მოკიდება ხელის ჩამორთმევით.¹⁹²

¹⁸³ ქართველიშვილი თ., ბაინდურაშვილი ხ., გელაშვილი ი., გოგოლაძე თ., შაორშაძე მ., ჯოჯუა თ., სურგულაძე მ. (რედ.), დოკუმენტური წყაროები XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ, ტ. 2, თბ., 2021, 488; ასევე, იხ. იქვე, ტ. 2, თბ., 2021, 488; ასევე, იხ. ქსდ, ტ. 2, თბ., 1965, 520; ტ. 4, თბ., 1972, 216, 265.

¹⁸⁴ ქსდ, ტ. 6, თბ., 1977, 600.

¹⁸⁵ იქვე, ტ. 3, თბ., 1970, 423.

¹⁸⁶ იქვე, 392; ასევე, იხ. იქვე, ტ. 2, თბ., 1965, 132; იქვე, დანართი, თბ., 2023, 31.

¹⁸⁷ იქვე, ტ. 2, თბ., 1965, 60-61.

¹⁸⁸ იქვე, 45; ასევე, იხ. იქვე, 141, 143.

¹⁸⁹ ქსდ, ტ. 3, თბ., 1970, 790.

¹⁹⁰ შენიშვნა: სხვათა შორის, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის ბოლოსიტყვაობაც შეიცავს საკვლევ ფორმულას („რომელმან არა ისმინოს ვედრება ესე და მოშალოს სამართლები ჩვენი, სხვებრ შეცვალნეს, ცოდვათა ჩვენთა მიერ იგიმცა დაისაჯების“), იხ. ქსდ, ტ. 1, თბ., 1963, 533

¹⁹¹ ქსდ, ტ. 1, თბ., 1963, 481, 485.

¹⁹² შენიშვნა: ეს რიტუალები ადამიანის ზურგზე მოკიდებას არ ითვალისწინებს.

საფლავზე ცოდვის მოკიდების მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ: განჩინება გერმანოზაშვილების გაყრის საქმეზე (1688-1703 წწ.);¹⁹³ განჩინება სეხნია ზუბიაშვილისა და ბერი დავითიშვილის მამულის საქმეზე (1751 წ.);¹⁹⁴ განჩინება თომასა და ხაფერვანის სახლის საქმეზე (1783 წ.);¹⁹⁵

სამივე მათგანში სასამართლო ეჭვმიტანილს ავალებს, საფლავზე დაიფიცოს და ამგვარად იმართლოს თავი. აქვე აღსანიშნავია, რომ არა მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებებში, არამედ ზოგჯერ სარჩელშიც შეიძლება იყოს მითითებული ცოდვის მოკიდებაზე. მაგალითად, ერთ-ერთი არზის ავტორი მეფის წინაშე მზაობას გამოთქვამს, საფლავზე შედგომით დაამტკიცოს თავისი სიმართლე – არზა ედიასი სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით (1766 წ.): „ამაზე რასაც სამართალს მიბრძანებთ, გავსწემ. მიბრძანებთ, საფლავზე ცოდვას ავიღებ, რომ მამაჩემს ეს სიტყვა ასე დაეგდოს.“¹⁹⁶

რაც შეეხება ხელის ჩამორთმევით ცოდვის მოკიდებას, იგი გვხვდება: განჩინებაში იესე ოთხმიზურისა და გოგია გორგოშიძის სასისხლო საქმეზე (1818 წ.);¹⁹⁷ განჩინებაში გოგია ხუხუნიშვილისა და თოხაძის საქმეზე (1818 წ.).¹⁹⁸

ცოდვის მოკიდების ზემოთ ჩამოთვლილი სამივე სახე დასტურდება ქართულ ჩვეულებით სამართალშიც, მეტიც, ადათი აღნიშნულით არ შემოიფარგლება და სხვა ვარიაციებსაც გვთავაზობს, თუმცა მოცემული სტატიის მიზანს ამჯერად მათი დეტალური განხილვა სცილდება.¹⁹⁹

6. დასკვნა

ამრიგად, საქართველოს გვირგვინოსან მეფეთა, დედოფალთა, უმაღლეს საეკლესიო იერარქთა და მაღალი რანგის მოხელეთა სამართლებრივი შინაარსის დოკუმენტები (ბრძანებები, წყალობის წიგნები, სიგელები, განკარგულებები, ოქმები და ა.შ.) მთელი 1000 წლის განმავლობაში, უწყვეტი ტრადიციის სახით, შეიცავს ამ იურიდიულ ფორმულას და ნათლად გვაჩვენებს, რომ იგი ძველი ქართული სამართლებრივი აზროვნებისათვის დამახასიათებელი ჩვეული მოვლენაა.

ეფუძნება რა ქრისტიანული მოძღვრების ცენტრალურ დოგმატს – იესო ქრისტეს მიერ კაცობრიობის ცოდვათა საკუთარ თავზე აღებას – რეზონანსის სახით არის ასახული ქართულ მსოფლმხედველობაში და ვლინდება ქართულ საბუთებში კონკრეტული იურიდიული ფორმულის სახით. ეს იურიდიული ფორმულა მისი ავტორის თვალსაზრისით, იმდროინდელი სოციალური წარმოდგენების შესაბამისად, ითვლება ბრძანების ადრესატზე ზემოქმედების მძლავრ ბერკეტად.

ზემოაღნიშნული კიდევ ერთხელ ცხადყოფს, თუ რამდენად დიდია საზოგადოებაში არსებული წარმოდგენების გავლენა სამართლის ინსტიტუტებზე და როგორ იცვლებიან ისინი დროთა განმავლობაში სოციალურ შეხედულებათა ცვალებადობის კვალდაკვალ – თანამედ-

¹⁹³ ქსდ, ტ. 4, თბ., 1972, 203

¹⁹⁴ იქვე, 402.

¹⁹⁵ იქვე, ტ. 5, თბ., 1974, 233.

¹⁹⁶ იქვე, ტ. 7, თბ., 1981, 113.

¹⁹⁷ იქვე, ტ. 6, თბ., 1977, 536.

¹⁹⁸ იქვე, 553.

¹⁹⁹ შენიშვნა: იხ. მე-4 სქოლიო.

როვე ქართულ საზოგადოებაში ამ წარმოდგენების კვალი თითქმის სრულად გამქრალია და მხოლოდ კეთილი სურვილების გამომხატველ სიტყვა „გენაცვალეს“ სხვადასხვა ვარიანტებში- ლაა შენახული და შენარჩუნებული.

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი, 30/12/1960, მუხ. 134.
2. დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 1, თბ., 1963, 481, 484, 533.
3. დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 2, თბ., 1965, 6, 9, 27, 29, 34, 39, 45, 46, 60-61, 71, 76, 127, 129, 132, 141, 143, 192, 193, 516, 520.
4. დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 3, თბ., 1970, 92, 94, 152, 212, 247, 261, 263, 357, 368, 369, 370, 372, 392, 423, 483, 486, 493, 494, 495, 496, 504, 513, 520, 521, 522, 526, 532, 565, 567, 568, 585, 602, 609, 626, 627, 629, 694, 706, 709, 711, 712, 749, 789-790, 816, 842, 996, 1029, 1034, 1106, 1120, 1124, 1127, 1133.
5. დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 4, თბ., 1972, 66, 141, 203, 216, 265, 402.
6. დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 5, თბ., 1974, 233.
7. დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 6, თბ., 1977, 454, 536, 553, 600, 601, 656, 672, 676, 719, 723, 724.
8. დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 7, თბ., 1981, 113.
9. დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 8, თბ., 1985, 821, 901, 913, 928, 929, 930, 934.
10. დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, დანართი, თბ., 2023, 28, 31, 36, 44, 64, 80, 96, 97, 175, 180, 200, 220, 259.
11. კაკაბაძე ს., დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ტ. 2, ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემანი, ტფ., 1921, 67, 173.
12. მენქიუ გ., ეკონომიკის პრინციპები, (ქართულ გამოცემაზე მუშაობდნენ: ახვლედიანი ა., კახ- ნიაშვილი ა., მანჩხაშვილი ნ., ქადაგიძე ლ., ჭაბაშვილი ა.), მე-2 ქართული გამოცემა, გამომცემ- ლობა „დიოგენე“, თბ., 2008, 77.
13. ონიანი ს., ცოდვის მოკიდების მნიშვნელობისათვის, თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, *ფერაძე გ. (რედ.)*, გამომც. „მერიდიანი“, ტ. 3, თბ., 2015, 346-381.
14. რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1986, 425.
15. ქართველიშვილი თ., ბაინდურაშვილი ხ., გელაშვილი ი., გოგოლაძე თ., შაორშაძე მ., ჯოჯუა თ., *სურგულაძე მ. (რედ.)*, დოკუმენტური წყაროები XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ, ტ. 1, თბ., 2019, 50, 71, 102, 113.
16. ქართველიშვილი თ., ბაინდურაშვილი ხ., გელაშვილი ი., გოგოლაძე თ., შაორშაძე მ., ჯოჯუა თ., *სურგულაძე მ. (რედ.)*, დოკუმენტური წყაროები XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ, ტ. 2, თბ., 2021, 268, 279, 488.
17. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ქართული ისტორიული საბუთები IX-XII სს, *ენუქიძე თ, სილოგავა ვ., შოშიაშვილი ნ. (რედ.)*, ტ. 1, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1984, 153, 158, 195.
18. ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, *ნანუ- კაშვილი ჯ. (რედ.)*, გამომც. „საბჭოთა საქართველო“ ტ. 3, თბ., 1978, 183.
19. ჭაბაშვილი მ., უცხო სიტყვათა ლექსიკონი, მე-3 გამოცემა, თბ., 1989, 585.
20. ჯავახიშვილი ივ., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა, წიგნი 3, ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, ნაკვეთი 2, ტფ. 1926, 109-112.